კარი III
სასამართლოების დაფინანსება

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება მიმართულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალური მდგომარეობის ანალიზისა და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიმდინარე აუცილებელი ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე თანამშრომელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა ძირითადი საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებანი შეადგენს 5285,0 ათას ლარს. შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 3806.63 ათასი ლარი, რაც მოიცავს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოს. დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაიცა ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიები და კანონმდებლობით დადგენილი დანამატი.

2010 წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების საკასო ხარჯებმა შეადგინა 1260.78 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 31.15 ათას ლარს, თანამშრომელთა მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 59.59 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებმა – 817.43 ათასი ლარი, წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 28.16 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებმა – 4.55 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯებმა შეადგინა 35.58 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 235.87 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებმა – 48.43 ათასი ლარი.

აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა 44.96 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლში – 55.03 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა – 108.79 ათასი ლარი.

უზენაესი სასამართლოს საქმიანობისათვის გამოყოფილი ასიგნებები მიმართულ იქნა სასამართლოს საფოსტო (მარკა, კონვერტი, გზავნილები) ხარჯების, კომუნალური მომსახურების (გათბობის მიზნით საწვავის, ელექტროენერგია, წყალი, დასუფთავება, ინტერნეტი) და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად; შეძენილ იქნა სხვადასხვა ფორმები (ბლანკები, სარეგისტრაციო ჟურნალები), ტექნიკის სახარჯი მასალები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. სასამართლოს შენობას ჩაუტარდა სამღებრო-სარემონტო სამუშაოები. შეძენილ იქნა სამსახურებრივი სარგებლობის 1 (ერთი) მსუბუქი ავტომანქანა უზენაესი სასამართლოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი და ინვენტარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფაქტობრივი დაფინანსება
საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან
FACTUAL FINANCING OF THE SUPREME COURT OF GEORGIA FROM THE STATE BUDGET OF 2010

მიმდინარე წლის ხარჯი
Current Expense

თანხა ლარებში Amount in GEL

ხარჯის კოდი Code of expense	ხარჯების დასახელება Name of expense	დაზუსტებული გეგმა Accurate plan	საკასო ხარჯი Cash expense	შესრულება % of execution
	საერთო ხარჯები Common expenses	5 285 000	5 276 218.68	99.83
21	შრომის ანაზღაურება Salaries	3 807 000	3 806 637.63	99.99
22	საქონელი და მომსახურეობა Goods and Services	1 267 000	1 260 789.69	99.51
27	სოციალური უზრუნველყოფა Social guarantees	45 000	44 964.24	99.92
28	სხვა ხარჯები Other expenses	57 000	55 033.24	96.55
31	არაფინანსური აქტივები Non-financial assets	109 000	108 793.88	99.81

2. I ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების დაფინანსება

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა განხორციელდა შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

1. პრიორიტეტის დასახელება: იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების), მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადებისა და გადამზადების რეგულარული განხორციელება.

პრიორიტეტის მიზანი: სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა მოსამართლედ გასამწესებელი მაღალკვალიფიციური კადრებით. მოქმედ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება. მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა.

2010 წლის განმავლობაში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: განხორციელდა მსმენელთა 4 ჯგუფის სწავლება. პირველმა ჯგუფმა წარმატებით დაასრულა სასწავლო პროგრამა და შედეგად 5 ახალი მოსამართლე დაინიშნა საერთო სასამართლოების სისტემაში. დარჩენილი 3 ჯგუფი (სულ 21 მსმენელი) სწავლებას დაასრულებს 2011 წელს. მოქმედი მოსამართლეებისათვის შემუშავდა და განხორციელდა 38 სემინარი/ ტრეინინგი. მოსამართლის თანაშემწეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებისათვის ჩატარდა 23 სემინარი/ტრეინინგი.

მიღწეული შედეგები: სასამართლო სისტემა უზრუნველყოფილ იქნა 5 წარმატებული კურსდამთავრებული მსმენელით, რომლებიც დაინიშნენ მოსამართლედ. 2011 წლის განმავლობაში მოსამართლედ გასამწესებლად სწავლა დასრულებული ექნება კიდევ 21 კანდიდატს. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა მოსამართლეთა კვალიფიკაცია და დაიხვეწა სასამართლო პრაქტიკა. ამაღლდა მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ხელი შეეწყო სასამართლოს ეფექტურობის გაზრდას.

2. პრიორიტეტის დასახელება: მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება.

პრიორიტეტის მიზანი: სასამართლო სისტემაში ეფექტური სოციალური დაცვის გარანტიების არსებობა. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: დატვირთულობის მიხედვით დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო

სასამართლოების თავმჯდომარეებს, მოადგილეებს, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეებს, მოსამართლეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, კოლეგიის თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს, გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარეებს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეებს. განხორციელდა მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევა. სექტემბერში განხორციელდა ქუთაისის საქალაქო, ტყიბულის, ბაღდათისა და წყალტუბოს რაიონული სასამართლოების გაერთიანება, შედეგად შეიქმნა გაერთიანებული ქუთაისის საქალაქო სასამართლო. გაერთიანების პარალელურად განხორციელდა სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისათვის თანამდებობრივი სარგოების ზრდა. შრომის ანაზღაურების მუხლში არსებული ეკონომიის ფარგლებში განხორციელდა მოსამართლეთათვის დანამატების, ხოლო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებზე პრემიების გაცემა.
მიღწეული შედეგები: მოსამართლეებს შეექმნათ მყარი სოციალური გარანტიები.

3. **პრიორიტეტის დასახელება:** საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

პრიორიტეტის მიზანი: მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: დასრულდა 2009 წელს დაწყებული ხელვაჩაურის რაიონული და ონის, გურჯაანისა და ხარაგაულის მაგისტრატი სასამართლოების შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ახლადგარემონტებული სასამართლოები აღიჭურვა საოფისე ავეჯით, მოეწყო სხდომის დარბაზები. შეძენილ იქნა ახალი კომპიუტერული ტექნიკა. სასამართლო დარბაზებში განხორციელდა ვიდეოკონფერენციის სისტემების მოწყობა. სასამართლოებში ასევე მოეწყო საპრეზენტაციო დარბაზები. დასრულდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობის მიწის ქვედა სართულის დანესტიანების აღმოფხვრის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. 2010 წლის ბოლოს დაიწყო ჭიათურის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარდაფის დრენაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები. თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისისა და რუსთავის საქალაქო, ახალციხის, მცხეთის, ხაშურის, ლენტეხის, სიღნაღის, ხონისა და გარდაბნის რაიონული და ადიგენისა და ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოების შენობებს ჩაუტარდათ მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. განხორციელდა 7 ერთეული სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენა. საერთო

სასამართლოები უზრუნველყოფილ იქნა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით.

მიღწეული შედეგები: კიდევ უფრო გაუმჯობესდა სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. პრიორიტეტის დასახელება: სასამართლო სისტემაში საქმისწარმოების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა.

პრიორიტეტის მიზანი: საერთო სასამართლოებში საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებული პროცესის სრული ავტომატიზაცია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: განხორციელდა ყველა გაერთიანებული სასამართლოს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართვა. საქმისწარმოების კომპიუტერული სისტემა ამოქმედდა რუსთავის საქალაქო, მცხეთისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. გაგრძელდა მუშაობა საქმისწარმოების პროგრამის დანერგვაზე სხვა საერთო სასამართლოებში

მიღწეული შედეგები: გაგრძელდა მუშაობა საქმისწარმოების გაუმჯობესებისათვის, უფრო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

5. პრიორიტეტის დასახელება: სასამართლო ხელისუფლების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება.

პრიორიტეტის მიზანი: საზოგადოების ჩართულობის ზრდა სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებში.

2010 წლის განმავლობაში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა: განხორციელდა სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ სატელევიზიო პროგრამებისა და სარეკლამო რგოლების მომზადება და ტელე/რადიო ეთერში განთავსება. ასევე განხორციელდა საგაზეთო სტატიების მომზადება და გამოქვეყნება.

მიღწეული შედეგები: გაგრძელდა მუშაობა საზოგადოებაში სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და ნდობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

საერთო სასამართლოების დაფინანსება საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან

FINANCING OF COMMON COURT FROM THE STATE BUDGET OF GEORGIA OF 2010

თანხა ათას ლარებში Amount in thousand GEL

ხარჯების დასახელება	დაზუსტებული გეგმა Aaccurate plan	საკასო ხარჯი Cash expenses	შესრულება % Execution	Name of expenses
ხარჯები	30 841.6	30 388.1	98.5	Common expenses
შრომის ანაზღაურება	22 334.4	22 328.3	100.0	Salaries
საქონელი და მომსახურება	7 896.5	7 585.2	96.1	Goods and service
სოციალური უზრუნველყოფა	252.0	211.9	84.1	Social guarantees
სხვა ხარჯები	358.7	262.7	73.2	Other expenses
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 158.4	2 069.9	95.9	Increase of non-financial assets